ოქმი:**ო37. 3723297001**
თარიღი:**24/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ხათუნა ცერცვაძის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი, 20 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
12:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, საკრებულოს წევრები,საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნათია გოლიაძე

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე *ლავრენტი* ბიგვავა მიესალმა ამომრჩევლებს-აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ ხათუნა ცერცვაძე არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე. იგი არის ფრაქცია „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე.

საკრებულოს წევრმა, ხათუნა ცერცვაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს სხდომებზე, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. ხ. ცერცვაძემ აღნიშნა, რომ მის მიერ მხარდაჭერილი პროექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო:“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში,“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი ,“2023 წლის ბიუჯეტით

გათვალისწინებული ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღები წესი“.

საკრებულოს წევრმა ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე. რომ უშუალოდ მისი შუამდგომლობითა და მერიის ჩართულობით მოგვარებულ იქნა შემდეგი საკითხები: გურიის რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატის, ვასილ ჩიგოგიძის მხარდაჭერით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მქონე 60 ოჯახს გაუწია სოციალური დახმარება. სოციალურად დაუცველი 12 მოქალაქე ჩართო დასაქმების პროექტში. მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურთან ერთად აქტიურად იყო ჩართული სტიქიის შედეგად დაზიანებული ქალაქისა თუ დამეწყრილი სოფლებიდან მოსახლეობის ევაკუაციისა და პირველადი დახმარების ნივთებით მომარაგებაში . ხათუნა ცერცვაძემ ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მისი ჩართულობით განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებზე.

საკრებულოს წევრზე საკუთარი აზრი გამოთქვა მუნიციპალიტეტის მერის მოდგილემ ნათია გოლიაძემ. მან აღნიშნა, რომ ხათუნა ცერცვაძე აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურთან ერთად ერთობლივ საქმიანობაში მოქალაქეების კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით.იმედია მისი თავდაუზოგავი შრომა სათანადოდ იქნება დაფასებული. აზრი გამოთქვეს და დადებითი შეფასება მისცეს ხათუნა ცერცვაძის საქმიანობას საკრებულოში მისმა კოლეგებმა: ბესიკ მელუამ, ნუგზარ ურუშაძემ, ბექა თოიძემ,მარინა ვაშალომიძემ, გელა ჩავლეშვილმა,ნათია ღაჟონიამ . შეფასებაში ითქვა, რომ მთავარი არის ადამიანების ნდობის მოპოვება,რომელიც მოდის იმ საქმიდან ,რომელსაც ხათუნა ცერცვაძე აკეთებს.და რაც მთავარია ხათუნა ცერცვაძემ ეს ნდობა და ამომრჩეველთა დიდი სიყვარული დაიმსახურა. ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღინიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავა და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს,ხოლო ხათუნა ცერცვაძეს უსურვა წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი